ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 230
1877

# ივერია

№ 230
1903

ოკდომბერი 29, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 29, ოთხშაბათი 1903 წ.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

---

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

**ფოტოგრაფია**

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

**იჯარით აიღო**

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

---

**„ცოდნა“**

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**იყიდება.** ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

**მსურველთ** წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება **ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.**

ადრესი: **Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.**

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს 28 ოკდომბერს წარმოდგენა არ იქნება, რადგან სწრაფად მზადდება ოპერა „ფრანჩესკო“

**ოთხშაბათს, 29 ოკდომბერს 1903 წ.,**

წარმოდგენილი იქნება

**ჟიდოვკა**

ოპერა 5 მოქმედებათ, მუსიკა გალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: შელნიკოვა კარტავინა, ბ-ნი: დარსკი, სელიავინი, შმაკოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი,

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

ხორმეისტერი ნ. ენგელ-კუან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი. ხუთშაბათს 30 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით „ფრადიავოლო“ ოპერა სამ მოქმ., მუსიკა დ. ობერისა.

---

**ახალშენიშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

---

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი**

**თ-დი დ. ნიჟარაძე**

აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ 10 დეკემბერს მიმდინარე 1903 წლისა დაიწყება **ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** მოხელეთა ასარჩევად და განსახილველად თავად-აზნაურთა შესახებ საქმეებისა.

(3—6—3)

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათმდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. მ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**ვ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7$\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8$\frac{1}{2}$—8 ს.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

---

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## ტფილისი

⁂ **ხელმწიფე იმპერატორმა** კეთილ ინება გამწესებულ იქმნას ოსმალეთის მთავარ-კონსულად ტფილისში რეფედ-ბეი.

⁂ თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ გამწესდა საგუბერნიო სამართველოს მოხელე ბ-ნი ყიფიანი.

⁂ ამავე სამართველოს მოხელე ბ-ნი მაჭავარიანი გამწესებულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის გამგებლის უნცროს თანაშემწედ.

⁂ ტფილისის პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავ. რატიშვილი გამწესდა ქვემო-მაჩხაანის ნაწილის ბოქაულად, სიღნაღის მაზრაში.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აცნობა ქალაქის მოურავს, რომ საბჭოს შუამდგომლობა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში დირექტორის თანაშემწის თანამდებობის დაარსების შესახებ, წარვუდგინე დასამტკიცებლად საერო განათლების მინისტრსაო.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ტფილისის საშუალო სასწავლებლების დირექტორებსა და უფროსებს მოლაპარაკება ჰქონდათ, როგორ შეიძლება თვალ-ყური ადევნონ შეგირდებს სასწავლებლის გარეშე კრებამ დაადგინა: 1, სასწავლებლის ინსპექციამ თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ ყოველმა შეგირდმა უთუოდ ფორმის ტანთსაცმელი ატაროს, უკეთუ ინსპექციამ შენიშნა ამ ფორმის ტანთსაცმელში არა მოსწავლე ბავში, პოლიციას უნდა მიჰმართოს; 2, ყოველ მოსწავლეს ბილეთი უნდა ჰქონდეს თავის ვინაობისა, რომ მთავრობის მოხელეს მოთხოვნილებისამებრ ყოველ ჟამს უჩვენოს; 3, დაწესდეს დრო, როდემდისაც მოსწავლეებს შეეძლებათ ისეირნონ უძღმამოდ; 4, აეკრძალოს მოსწავლეებს ჯგუფობით სიარული ტროტუარებზე და სხდომა გოლოვინის პროსპექტის სკამებზე; 5, თეატრში წასასვლელად მოსწავლეებს ინსპექციის ნებართვა უნდა ჰქონდეთ; 6, მუშთეიდის ბაღში ინსპექციების მხრივ მორიგი მასწავლებელი უნდა იყოს მოსწავლეთა სეირნობის დროს; 7, გამოეცხადოს მოსწავლეებს, რომ მოვალენი არიან სხვა სასწავლებლების უფროსების განკარგულებასა და მოთხოვნილებასაც ემორჩილებოდნენ; 8, უნცროს კლასების შეგირდები უნდა პატივისცემით უსმენდნენ უფროს კლასების შეგირდებს, როცა ყოფა-ქცევის შესახებ დარიგებას მისცემენ; 9, ხანგამოშვებით ინსპექტორები უნდა შთააგონებდნენ მოსწავლეებს თავის მოვალეობას; 10, მოსწავლეთა თავმოყვარეობას მიჰმართონ, უმეტესად უფროს კლასებში, რომ თავის ღირსება თვით მოსწავლეებმა დაიცვან და ცუდის ყოფა-ქცევით თავი არ შეირცხვინონ.

⁂ ქალაქის გამგეობას საფიქრებლად გაუხდა, როგორ შეუთანასწოროს მომავალ წლის ხარჯი შემოსავალს. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით, ხარჯი გადაამეტებს შემოსავალს 60,000 მანეთით. სახლის დასაფასებელ გარდასახადის მომატება არ უნდათ, რადგან სახლის პატრონებს მეტად გაუძნელდებათო, და სხვა შემოსავლის წყარო-კი არა სჩანს. ამისათვის გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ ისესხოს 60,000 მანეთი საუნივერსიტეტო თანხიდან და ყოველ წელს 6,000 მანეთი გადასდოს ამ ვალის გასასტუმრებლად. მომავალ წელს ქალაქი გაანაღდებს ობლიგაციებს ამით გააუმჯობესებს ქალაქის ფინანსებს. თუ მაინც და მაინც ძალიან გაჭირდა საქმე, მაშინ, მეტი ღონე არ არის, დასაფასებელ გარდასახადს მოუმატებს.

⁂ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ დაემატოს ხარჯს სავარაუდო ანგარიშს გარეშე: 1, ტფილისში ნაპოვნ ძუძუმწოვარა ბავშვთა შესანახად 2,468 მანეთი და ქუთაისის გუბერნიაში 4,871 მ.; 2) ტფილისის საბებიო ინსტიტუტისათვის 3447 მ.; და 3, მიხეილის საავადმყოფოსათვის ტფილისში 1,000 მ.

⁂ ტფილისის მაზრაში წელს შარშანდელზედ ნაკლები მოსავალი ყოფილა. აი რამდენი ჭირნახული შეუგროვებიათ წელს: ხორბალი შემოდგომის ნათესისა 477,804 ფუთი, გაზაფხულისა—370,218 ფ., ქერი—94,718 ფ., შვრია—1,099 ფ., სიმინდი—21,480 ფ., ფეტვი—9,730 ფ., ბრინჯი—45,000 ფ., აქედგან ხალხს დასჭირდება გამოსაკვებად მეორე მოსავლამდე 4,88,020 ფუთი ხორბალი, ქერი—102,401 ფ., შვრია—1,010 ფ., სიმინდი—2,149 ფ., ფეტვი—4,650 ფ. და ბრინჯი—10,000 ფ. ამას გარდა საჭიროა თესლად: ხორბალი—285,027 ფ., ქერი—46,032 ფ., შვრია—471 ფ., სიმინდი 681 ფ., ფეტვი—591 ფ. და ბრინჯი—400 ფუთი. ამ რიგად ხალხი თითქმის ვერაფერს მოინარჩუნებს, რომ გაჰყიდოს ნაწილი და სხვა თავის საჭიროება დააკმაყოფილოს.

⁂ ტფილისის ქალაქის სამმართველოს 49 სადაო საქმე წაუგია სასამართლოში მამულების დასაკუთრებისა სხვა-და-სხვა კაცთაგან. ამ მამულების ფასი თურმე 100,000 მანათს აღემატება.

⁂ გზათა სამინისტროს განუმარტავს, რომ უფასო ბილეთებით მოგზაურობა რკინის გზით შეუძლიანთ, მოხელეთ გარდა, რკინის გზის სკოლების მასწავლებლებსაც სახლობითურთ.

## აკაკის თხზულება

გამოვიდა აკაკის „თავგადასავალის“ I-ლი ტომი, მოგვყავს მისი წინასიტყვაობა: „ჩემი თავ-გადასავალის“ ცალკე წიგნებად გამოცემა განვიზრახე და, რადგანაც საკუთარ საფასურით არ მეხერხებოდა, ხელ-მოწერა გამოცხადე. მეგონა, თუ ქაღალდის ფასი მაინც მოგროვდებოდა, მაგრამ ამ ერთის წლის განმავლობაში ოცდა თვრამეტი (38) მანეთის მეტი არ შემოსულა. ეს რომ დაწუნების ნიშანი იყოს, მეც უკუვაგდებდი ამ ნაწერებს, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩვენს ხალხს: ჩვენში ყიდვას ერიდებიან, თვარა საზოგადოდ ნაბეჭდ წიგნების წაკითხვის მსურველი ბევრია. ეს უსიამოვნო მოვლენა საზოგადო ჩვეულებად არის დღეს ჩვენში გადაქცეული და „ჩვეულება ხომ, ნათქვამია, რჯულზედაც უმტკიცესიაო“.—ეს ერთი ხანია ქართველობას საყოველგვაროდ ცარვა-დაქვეითების ხანა დაუდგა და, რაღა თქმა უნდა, მწიგნობრობასაც პატივი აეყარა ჩვენში, თვარა ძველად სულ სხვა იყო: ჩვენი წინაპრები, მიუხედავად სიძნელისა და სიძვირისა, ოღონდ კი ქართული ხელნაწერები შეეძინათ როგორმე და უკანასკნელ ღონესაც არ დაზოგავდნენ. მზითვის სიაშიაც კი პირველი ადგილი წიგნებს ეჭირათ: „ვეფხისტყაოსანს“, «ვახტანგის კანონსა», „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანიანს“, «რუსუდანიანს“ და სხვათა, ერთის სიტყვით ყოველ-გვარ, მცირეოდნად მაინც შესამჩნევ, ხელნაწერს, როგორც საეროს, ისე სასულიეროსაც. დღეს-კი, როცა სტამბები გამრავლდნენ და ნაბეჭდ იმავ წიგნების შეძენას ერთი ფეხის კადადგმის მეტი აღარა ეჭირვებარა და სასყიდელიც იაფია, ყველა გაურბის. ურიის ხელში უფრო ადვილად შეხვდება კაცი მირონს, ვიდრე ძველ-ოჯახებში ქართულ წიგნს. როგორც ყოველთვის, ისე ამ ჩვენ დროშიაც, ყოველგვარ ნივთს, ყოველ საგანს და ყოლიფერს თავ-თავისი შესაფერი ფასი ადევს, კარგს მეტი და მდარეს—ნაკლები, გარდა მწერლობისა. ერთ ლიტრა ვერცხლში და ერთ ლიტრავე რკინაში ერთსა და იმავე ფასს, თუ არ გიჟი, ვერავინ შეაძლევს. ერთ ადლ ხავერდსა და ერთ ადლსავე შალს ერთ ფასად არავინ გაჰყიდის, აქაო და ორივე ერთი ზომისა და წონის არიანო!

წიგნი-კი სულ სხვა არის. რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი,“ პატარა წიგნაკად გამოცემული და „ოჩონპენტრეს ოცობოდია“—დიდ წიგნად, არა თუ ერთ ფასში, მეტ-ნაკლებადაც იყიდება; მეორესა აქვს უპირატესობა, როგორც დიდსა და სქლად გაბერილს. და ეს არც არავის ეხამუხება, რადგანაც სტამბიდან გამოსული წიგნის მარტო ქაღალდი და ბეჭდვა ფასობს და არა გრძნობა-გონების ძალა. სამწუხარო ის არის, რომ ამ უსამართ-

ლობასა და „გონების“ გამრყვნელ უგნურებას თვით მწერლობაც ხელს უწყობს: ხშირად შეხვდებით რომელსამე ჟურნალ-გაზეთში, საბიბლიოგრაფიო განყოფილებაში, ამგვარ განცხადებას: „რედაქციას მოუვიდა ჩვენი სასიქადულო ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრება, ლამაზად და კოხტად გამოცემული, ფასი სამი შაური აწერია. ცოტა არ იყოს ძვირია. აგრევე დაიბეჭდა და გამოვიდა მასხარაშვილის პოემები ავტორის სურათით, წიგნი ვეებერთელაა. ფასი სამი აბაზი აწერია. არ არის ძვირი. ამგვარ თავის-თავის დასამცირებელ რეკლამებს თვითონვე მწიგნობრები ავრცელებენ და მკითხველებიც შეცდომაში შეჰყავთ.

აქ უნებურად მაგონდება ერთი შემთხვევა: „თამარ-ცბიერი“ რომ დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ზედ ათი შაური ეწერა ფასი, ერთმა რედაქტორმა, რომელიც იმავე დროს ნაფიცი ვექილიც იყო, იუცხოვა, აღელვდა და ჭექა-ქუხილით გამოილაშქრა ავტორ-გამომცემელზე და ანგარი უწოდა, თუმცა-კი იცოდა, რომ იმ წიგნის გამომცემელი გამოცემის ხარჯს ვერაფერ შემთხვევაში ვერ აინაზღაურებდა. თითონ-კი ის, სამართლის მიმდევარი ვაჟბატონი, ჩვეულებისამებრ საზოგადოთ ადვოკატებისა, სამსჯავროში ისე ფეხს არ შეადგამდა, სანამ კლიენტებს, მიუხედავად მათის გაჭირვებისა, ოთხში არ ამოიღებდა; თვითონაც მართალი ეგონა თავი და არც არავინ დამძრახველი ჰყავდა. სად არის სამართალი?—ვამბობდი გუნებაში,—ადვოკატი, ფრაკში გამოკოხტავებული, რამდენიმე წუთით წარსდგება მსაჯულების წინაშე, კანონებიდან ამოკრეფილ სხვის სიტყვას წამოიკლიკებს და ამ გვარ შრომისათვის ათასობით იჩხრიალებს ჯიბეში და რომელიმე წიგნის ავტორი-კი, რომელსაც მისი თხზულებისათვის წელიწადები მოუნდომებია, ვინ იცის, რამდენჯერ თავზედაც დასთენებია, თვით ნაწერებში სული და გული ჩაუდევს, თუ ჩალის ფასად არ გამოსცემს თავისს შრომას, ანგარებას ეწამებიან და კიჟინასა სცემენ!—განა მარტო ადვოკატები, ყოველი მოხელე მეტად აფასებს თავის შრომას და კიდევაც გაუდით. ასე გასინჯეთ, უბრალო გადამწერი შავის თეთრად—უფრო მეტს იღებს შრომის ფასს, ვიდრე მწერალი სტრიქონობით. და აი, სწორედ ამის ბრალია, რომ ყველა გაურბის ჩვენში საზოგადო საქმეს, თუ იმავე დროს ის საპირადოთაც ხელსაყრელი არ არის, და ამიტომაც არსად სჩანან ჩვენში ნამდვილი მოღვაწეები და მართლა მწერლები!.. სხვაგან მცოდნე და ნიჭიერი პირები საზოგადო მოღვაწეობითა და მწერლობით, თუ მდიდარი არა, უზრუნველყოფილი მაინც არიან, და ჩვენში-კი, პირიქით, მდიდარი უნდა იყოს კაცი, რომ გაბედოს საზოგადო მოღვაწედ გამოსვლა...

ამაების სათქმელად გამომიწვია მე გუშინდელმა საუბარმა „ჩემი თავგადასავალის გამომცემელთან“.

— პირველი ტომი თქვენი „თავგადასავლისა“ პატარა გამოდის და ვაი, თუ იუცხოვონ მყიდველებმა: მანეთად ძვირიაო! დაუკლოთ ფასიო,—მირჩია გამომცემელმა.

— საერთოდ გამოცხადებული იყო თვითეულ ტომის თითო მანეთი, არც მეტი და არც ნაკლები. ზოგი ტომი პატარა გამოვა და ზოგიც დიდი. პატარას რომ დავუკლოთ, მერე დიდს ხომ ველარ მოვუმატებთ? —ვუპასუხე მე.

— ეგ მართალია, მაგრამ მყიდველი რას დაგიდევს?—სხვა ქვეყნებშიაც მოგებას ძალიან ცოტას სჯერდებიან და ფასსაც დიდს სდებენ.

— სხვაგან? ჰო! მაგრამ იქ ასი-ათასობით იყიდება და ჩვენში-კი ასობითაც გასაჭირია. იქ წიგნზე რომ ერთი გროში მოიგონ, მაინც შორს წავა და ჩვენში-კი გამოცემას არ ჰფარავს...

— ეგ ხომ აგრეა მაგრამ რა გაეწყობა ..

— მაშ, სულ ნუ დავადებთ ფასს! მუქთად წაიღოს, ვისაც ჰსურს და თვითონ დააფასოს!

— ეგ კიდევ უარესი!.. რომ წაიკითხვენ, მერე კაპეიკის გამეტებაც დაეზარებათ.

— მაშ, რა გიყო? რა ვქნათ!?—არა, ძმაო! მე ისევ ჩემ ნება-სურვილზე დავდგები: როგორც ყოფილა, ისევ ისე დარჩეს... ვისაც ეძვირება, ნუ იყიდის, კალთას არავინ დააგლეჯს, და ვისაც მართლა არ შეუძლია ყიდვა, მაგრამ სურვილი-კი აქვს, იმას შეგვიძლია მუქთადაც დავუთმოთ.

---

## სიტყვა, თქმული დ. მაჩხანელის დასაფლავებაზედ მღ. ეგ. მენთეშაშვილის მიერ

ძმაო დიმიტრი!

ეს რა ამბავია შენს თავს?! რატომ ხმას აღარ იღებ? იქნება გინდა უღალატო შენს საყვარელს მწერლობას, შენს საყვარელ დედას და შენგან კოპწია. ნარნარ პატარძალივით მორთულს ვენახს? მართლაც რომ ეტყობათ შენს დედას და კოხტად ნაშენ ვენახს დაობლება. აგერ დედაშენი ძაძით შემოსილა და შენს ვენახსაც უხელობით ფერი წასვლია, გაყვითლებულა. რა დროს ეხლა ღალატია დიმიტრი?!. კაცო, შენ ხომ ჯერ ტანჯვისა და ვაების მეტი არა გინახავს-რა. კაცო, შენ არ იყავ, რომ ამბობდი: მარტო წელს ამოვისუნთქავ ცოტათი თავისუფლადაო, რადგანაც ვენახმა გვარიანად დამაჯილდოვაო?! კაცო, შენ არ იყავ, რომ ეს ოთხი წელიწადი ქალაქისაკენ მიისწრაფოდი სულითა და გულით, მაგრამ უსახსრობით, შეუძლებლობით ვერ მეგეხერხებინა?! ამას წინად-კი ამბობდი —ამ შემოდგომაზე ჩემს მარტოობას ბოლო მოეღებაო—„გარეთ ფეხ გაუდგმლობის ოთხის წლის კურსს ვასრულებო“, ეხლა-კი დარწმუნებული იყავ ეგნატე, რომ ოჯახურ ბედნიერებისათვისაც ვიზრუნებ რასმეო?!. ბარაქალა შენ, კარგა შეისრულე შენი სურვილი და დაპირება.

რას აპირებ, აგერ შენი საყვარელი «ივერიის» რედაქცია მოუთმენლად მიგელის ტფილისს—ერთი ვნახოთ ხალხის ჰირ-ვარმის ენა-მახვილად გამომხატველიო; ერთი ველაპარაკოთ ქვეყნის ბოროტებისა და ვერაგობასთან მებრძოლ „ლახვარიძესაო“. ეხლა დაგაფასებს ვისაც ჰკარგავენ.

აგერ დიმიტრი, ერთი ყური დამიგდე, შენი საყვარელი ილიაც თურმე აპირებს ამდენის ხნის გაჩუმებას თავი დაანებოს და ჩვენის ერის, ხალხოსნობის ძირის გამომთხრელებს ლომ-გულად ეკვეთოს, „ენა მუსიკურაჲ“ თავზე კაკალი დამტვრიოს. როგორ გაგეხარდება, ცას მოეწევი, შენს აღტაცებას საზღვარი აღარ ექმნება, ათასგვარ საქებურ ეპიტეტებით შეამკობ მის შემოქმედებითს ძალას, როდესაც იმის აღგზნებულ წერილებს ნახავ „ივერიის“ ფურცლებზე!!.

ჰა, რად გაჩუმებულხარ?!. იმედი ხომ არ დაგიკარგვია? ლოდინმა ხომ არ მიგასუსტა? მაგრამ შენ რომ არ იცი გულის გატეხა? შენ რომ ჰირივით გეჯავრება მოწუწუნე, ცხოვრებაზე გულ-აცრუებული ახალი თაობა?! ათასი გაჭირვება ყოველ დღე „შავბედითი შავი ყორანივით“ თავს დაგჩხაოდა, მაგრამ შენ მაინც ყველას ამხნევებდი, ვისაც-კი შენთან ბაასი მოუხდებოდა. „ჩვენი ხალხი უნდა გავადონიეროთ ქონებრივად და გონებრივადაო“. ამას შევძლებთ. ამის ნიშნები არისო.

არა, შენ გვიწყრები! მაშ, პასუხს რატომ აღარ იძლევი? რა ვუყოთ, რომ ბევრი მწარე, ნაღვლით შეზავებული საწყენი სიტყვები გსმენია! განა შენ თითონ არ ამბობდი ხოლმე, რომ თვით მაცხოვარი, მხსნელი სოფლისა ჯვარზე გააკრესო?! ჩვენი ქართველი მოღვაწე-კი რა იგეთი წითელი კოჰია, რომ იმწარე, ჰორი, დაცინვა არ აიტანოს თავის სიცოცხლეში? ეს ყველას ხვედრია.

სამაგიეროდ ნუ შეძრწუნდები დიმიტრი!—შენი „ძმური სიტყვა“, შენი „სოფლის კუნწულა“, შენი „გლახის ნაამბობი“, „ჩვენი ოთავბოლოობა“ და მრავალი სხვა შენი ნაწარმოები დარაჯად უდგანან შენს სახელს. მართალია ვერც სურვილი აღგისრულდა, ტანჯვა, სიღარიბე დიდი ჰნახე ამ ქვეყნად, სამაგიეროდ შენი სახელი დაუვიწყარი დარჩება ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში და ხსოვნა შენი, როგორც ხალხის მეჭირისუფლესი, ხალხის ჰირვარმის ტკბილის ქართულის ენით გამომხატველისა, გადაეცემა შთამომავლობას.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, უდროვოდ დაკარგულო ძვირფასო მეგობარო, აზრიანო მოსაუბრევ, ენა-ტკბილო მგოსანო!

---

# ჩვენებური ამბები

**აბაშის საზოგადოება** (ქუთ. მაზრა). დადგა შემოდგომა და შეიქნა სოფლელ გლეხთა ფაცა-ფუცი; წელს მოსავალი ძლიერ ცუდია. ამის მიზეზი ცუდი ამინდები და სულ ავდრებია; გამუდმებულმა წვიმებმა სიმინდის მოსავალი სულ გააოხრა; შარშან რომ გასაყიდი სიმინდი რჩებოდა გლეხს, წელს თავისი ცოლშვილის სარჩენადაც-კი უნდა იყიდოს, ისიც თუ იშოვნა კიდევ კარგი; ეხლა სახელმწიფო გადასახადი,—ეს ფოსტისაო, ღვდლისაო და კიდევ ვინ იცის რამდენი წვრიმალი ხარჯი აწევს საბრალოს კისერზედ, მაგრამ რა ჰქნას? ღვინომ მაინც სულ ხელი დააბანინა აქაურებს: „იზაბელა“ (ადესა) თავათ ცოტა მოისხა და ისიც ქარმა სულ ძირს ჩამოჰყარა, ასე, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ცეცხლზე ნავთი დაესხათ. თუმცა ჯერ-ჯერობით აქეთ სიმინდის მარცვალს „პეპელა“ არ გასჩენია, მაგრამ ძლიერ ჰშიშობენ, რომ არ გაჩნდეს, რადგან შესაძლებელია, „პეპლიანის“ სიმინდის მჭადისაგან რაიმე სხვადა-სხვა სენიც გაჩნდეს და აბა უბედურება მაშინ დაგვიდგება. ძლიერ კარგი იქნება, მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ საშინელ სიმინდის სენს და გლეხებს მომავალ უბედურებას თავიდგან ააცილებდეს და რაიმე საშუალებას გამონახავდეს ამ სიმინდის „პეპლის“ საწინააღმდეგოდ, თორემ ბოლოს თითზე კბენანი გვიან-და იქნება და შიმშილობა არ ასცდებათ აქაურებს.

ამ სოფელში ერთი სამწუხარო ამბავი მოჰხდა: 12 ოკტომბერს, ერთმა აქაურმა ახალგაზრდა გასათხოვარმა ქალმა თავის მოკვლა განიზრახა და თოფი იკრა, თოფი საფანტით გატენილი ყოფილიყო და ყელში აქვს აქეთ-იქით გაფანტული და საბრალო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება; იმედი აქვთ მორჩენისა, მაგრამ ვინ იცის, მორჩება თუ არა; მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა—გამწარებული მდგომარეობა და შინაური უთანხმოება ყოფილა; საწყალს თურმე ყოველს სიტყვაზედ მუშტი-კრივით უპასუხებდნენ მისი „გულ-შემატკივარი“ ჰირისუფლები და კბილების მტვრევით უმასპინძლდებოდნენ. ამ ქალს წინადაც განეზრახა თურმე თავის მოკვლა და წყალში გადავარდნა, მაგრამ ვიღასაც გადაერჩინა.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც აქაურებმა ახალი ეკლესიის აგება და ძველის გაუქმება განიზრახეს, მაგრამ დღემდე არა ეშველა-რა ამ საქმეს; საქმე ის არის, რომ აქაურები ორ ბანაკად არიან გაყოფილნი და ერთი თავისკენ ეწევა, მეორე კიდევ თავისკენ; თუმცა ეკლესია ძალიან კარგ ადგილას არის, მაგრამ მეტად მაღლობზეაო და ამ მიზეზით წუნობენ და ახალის აშენებას ჰფიქრობენ. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ისევ ძველი ეკლესია შეეკეთებინათ და გაელამაზებინათ, რადგან ახალი ეკლესია ძლიერ ძვირად დაუჯდებათ და ისედაც გაღარიბებულ მცხოვრებთ სულით ხორცამდე გაალატაკებს.

მოაწია სამხედრო ბეგარამაც და ვინ იცის, რამდენი მშობლები ატირდება თვისის მარჩენლის შვილების მოშორებით და რამდენს მერე აუტირდება დედა შვილების ცივსა და შორეულს ქვეყნებში გაგზავნის გამო.

ჯ—ი უ

---

## ბათომი.

ბათომის მუშათა არტელი—არტელის საჩივარი როტშილდის ქარხნისადმი—ვაჭართ ურია ლევბერგის და ბერძენ პარასკეოპულოს მოხერხებით გამდიდრება—ქართველთა ახალი ამხანაგობა „გეორგია“—ქართველ ხეტყის მრეწველთა სალათას ძილი.

ბათუმის მუშათა არტელმა, როგორც ამას წინად ვწერდით „ივერიაში“, ბ-ნ ა. მანთაშევისაგან გემების დაცლა-დატვირთვა აიღო. იმ დროს არტელს ჰყავდა ახლად მიღებული 120 წევრი—მუშა, რომელნიც ძალიან მხნედ და გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. ბ-ნ მანთაშევის ქარხნის გამგე ბ-ნი ტარუმოვი ძალიან მადლიერი იყო. რაკი ხმა გავარდა ბ-ნ მანთაშევმა სამუშაო მთლად პორტში გადასცაო, არტელს გაუჩნდა შემცილებელი—კერძო მოიჯარადრეები, დროებით აქ დაბინავებულნი. ათასნაირი შარი მოსდეს არტელს, მაგრამ ვერას გახდნენ. უცბად ხმა გავარდა: თუ ხვალ არტელმა მუშაობა დაიწყო მაშინ ბ-ნ მანთაშევის მეეტლე-მედროგეთა შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი მოხდება, რადგან ბ-ნ მანთაშევთან 120 მეეტლე სომეხია და 80 ქართველი და მათ ერთმანეთში უკმაყოფილება აქვთო. ასეთი ხმა დაავდეს არტელის მტრებმა. ამის გამო ბათომის მუშათა არტელმა, რომ მართლა მეეტლეთა შორის უბედურობა რამ არ მოხდესო, 18 მაისს გემში მუშაობა შეაჩერა. ამ ამბავს ათასნაირი მითქმა-მოთქმა მიუმატეს არტელის მტრებმა და გაიძახოდნენ: აბა, შეხედეთ, არტელი რას ჩადისო. აღარ მუშაობსო, ამის გამო ბ-ნ მანთაშევის გამგემ ბ. ტარუმოვმა ისევ ძველ იჯარადარს გადასცა საქმე. ძველმა იჯარადარმა სომეხმა ამით ისარგებლა და სულ ახალ მოსულ მუშებს აყენებს საქმეზე, და ქართველობას-კი იშორებს.

ჩვენს არტელს ეს საქმე არ მოუვიდოდა, სტაროსტა რომ მოხერხებული კაცი ყოფილიყო და საქმის გაძღოლა შესძლებოდა. რაკი ბ-ნ მანთაშევის საქმე არტელს ჩამოართვეს ახლად მიღებული მუშები გაშორდნენ, დარჩნენ მხოლოდ 20—25 ახლადმიღებული მუშები და, ამას გარდა დამაარსებელნი არტელისა.

რადგან არტელის საქმეს წინსვლა არ დაეტყო, ამიტომ წევრნი-დამაარსებელნი თხოულობენ მიიღონ თავთავიანთი ხვედრი თანხიდგან და გავიდნენ არტელიდგან. მაგრამ სტაროსტა არტელისა ბ-ნი მგელაძე, რომელსაც ვადა უკვე გაუთავდა, ყურადღებას არ აქცევს მათ თხოვნას, არც ანგარიშებს ასწორებს და არც კრებასა ნიშნავს, რომ იცოდეს კაცმა, ვის რა ერგება.

არტელს საჩივარი ჰქონდა როტშილდის ქარხანასთან. ვექილათ ჰყავდა ბ-ნი მოსე ქიქოძე, რომელმაც ოლქის სასამართლოში და პალატაში წააგო საქმე, მაგრამ მაინც გადაიტანა საჩივარი სენატში; სენატმა-კი ყურადღება მიაქცია არტელის კანონიერს თხოვნას და პალატის განჩინება დაარღვია და ხელმეორედ გასარჩევათ გადმოსცა საქმე. მეორედ გარჩევის დროს ტფილისის სამოსამართლო პალატამ არტელს მიუსაჯა როტშილდისაგან თითქმის 7,000 მანეთამდე. ბ-ნ ქიქოძემ აღმასრულებელი ფურცელი პალატისა ბათომში ჩამოიტანა და ბოქაულის ხელით მოითხოვა ქარხნისაგან დაკმაყოფილება; მაგრამ ქარხნის გამგემ აღმასრულებელ ფურცელში მოხსენებული ფული ხაზინაში შეიტანა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება გააჩერა, მანამ საქმეს ხელმეორედ არ განიხილავს სენატი.

არა გვგონია, სენატმა არტელის სასარგებლოდ ერთხელ გადაწყვეტილი საქმე მეორედ უკანონოდ სცნოს.

აი ეს 7,000 მანეთი ასაღებია როტშილდისაგან და თვით არტელსაც საწარმოებლად აქვს 2,500 მანეთი, ეს 2,500 მანეთი ეკუთნის 38 წევრს არტელისას,— იმ წევრთ, რომელნიც არიან დამაარსებელნი. ბ-ნი მგელაძე კი გაიძახის: ვის რა დაგრჩენიათ არტელშიო?

აქაურმა ორმა ვაჭარმა, ურია ლევბერგმა და ბერძენ პარასკეოპულომ უცბად შეიძინეს სიმდიდრე: ლევბერგმა აგერ ხუთი წელიწადია ვაჭრობა დაიწყო „ბაკალეინი“ საქონლით. ამხანაგათ მოგებაში (30 კ. მანეთში) ჰყავდა ბ-ნი პავლე თუმანიშვილი, რომელიც ძალიან მუყაითად ასრულებდა საქმეს და დიდი ოპერაციაც ჰქონდათ, ამბობენ 100,000 მანეთამდეო. ამისთანა საქმეში ვაჭარს უნდა დარჩეს მოგება უკანასკნელი 10%. მაშასადამე, ხუთის წლის განმავლობაში ამხანაგობას მოუგია 40—50 ათას მანეთამდე, ასე რომ პავლე თუმანიშვილს ათი-თორმეტი ათას მანეთამდე ერგებოდა. ამ ორის თვის წინად თუმანიშვილი დაავადმყოფდა და საქმოდ სხვაგან წავიდა. ორის თვის შემდეგ ჩამოვიდა ბათომში და თავის სავაჭროში შევიდა, მაგრამ, ვაი ჩვენს მტერს, იმას ამბავი დახვდა.

ბ-ნ ისე რაქველმა დააარსა საკომისიო-სავაჭრო ამხანაგობა და სახელად უწოდა „გეორგია“. სწორედ მშვენიერი აზრი იყო, რომ ამ საქმეში, გარდა დამაარსებელისა, სხვა წევრნი შეგნებული და საქმის მცოდნენი ყოფილიყვნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ მოხდა: ერთის წლის განმავლობაში ამხანაგობას ჰქონია ხარჯი 9,000 მანეთამდე!.. ამ გარემოებამ ამხანაგობა დააფიქრა: ჯერ არ დაბადებულა საქმე და ახლავე ამოდენა ფული იხარჯებაო. მცოდნე და გამგე წევრები რომ ყოფილიყვნენ ამხანაგობაში, ესეთი ეჭვი არ აღეძრებოდათ.

ხის მასალის მრეწველნი ისევ სალათას ძილში გახლავან და თავის საქმეს ისე ვერ აწყობენ, რომ ძვირფასი კაკლის კუნძი, ბზა და სხვა მასალა რიგიან ფასებში გაჰყიდონ; არამედ ისევ ძველებურად ყიდიან არშაკ, მინას არუთინაზედ. ბ. ნესტორ წერეთელი და ბ. ექვთიმე ბერძენიშვილი, რომ მოინდომებდნენ ამ საქმეს გაუძღვებიან, მაგრამ ესენიც როგორ ზანტობენ, ან და რაღათ შეიტკივონ თავი თავიანთ მოძმეთათვის? თვითონ ბედით კმაყოფილნი არიან და ბედში მყოფი, ისიც ქართველი, გაჭირებულთათვის იშრომებს?!.

სპირიდონ ხვიჩიშვილი.

---

## „ივერიის“ ფოსტა

**ოზურგეთი.** გვაბრათელს II. თქვენი კორესპონდენცია, სამწუხაროდ, არ დაიბეჭდება. ვინც ფორმალურს სიმართლეს მისდევს, იმასთან ბრძოლა ძნელია. ეგ საქმე სასამართლოს უნდა გამოერკვია და მხოლოდ მისი განაჩენი უნდა გამოცხადდეს.

**ქუთაისი.** სოლომონ ედიგაროვს. განცხადებას გაზეთი მუქთად ვერ დაჰბეჭდავს. გამოგზავნეთ მანეთი და დაიბეჭდება.

**ხონი. ა. მე—ეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ეგ თქვენი შინაური საქმეა და თქვენვე მოაგვარეთ.

**ს—დს. ივანე კოხნარელს.** თქვენი ლექსი „მეც ხომ ვიყავ ახალგაზდა“ არ დაიბეჭდება.

**ქ—სს. ალ. გ. რ—ძეს.** თქვენი ხელთნაწერები მივიღეთ. მალე გაცნობებთ, დაიბეჭდება თუ არა.

**ს. ოზჩა. ო. გ. ჩ—ის ასულს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი ვლ. ბ—ლისა არ დაიბეჭდება.

---

# კავკასია

## წერილი ნავთის სამეფოდგან.

(მომავალ ქართულ საღამოს გამო.)

უკვე მოახლოვდა დრო ბაქოში ჩვეულებრივ ქართულ საღამოს გამართვისა და, ზოგიერთ დაინტერესებულთა მონდობილობით, აქ გვინდა შევეხოთ ამ საღამოების საჭირ-ბოროტო გარემოებას.

როგორც მკითხველმაც უწყის, ბაქოს ქართულ საღამოების შემოსავალი შესამჩნევად საგრძნობელი წყაროა შემოსავლისა ჩვენის ღარიბის „მატიცის“,—წ.-კ. საზოგადოებისა და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვისაც, ასე თუ ისრე, შრომა მიუძღვის ამ საღამოების მოწყობა-გამართვაში. მაგრამ... (ქართული საქმე ხომ უ-„მაგრამოთ“ არ იქნება!) რამდენადაც ეს საღამოები ნივთიერად სასარგებლოა, იმდენად ესტეტიურად, საუბედუროდ, მეტად უშინაარსოა და მოკლებულია ყოველგვარ ეროვნულ ელფერს; ე. ი. იმ უმთავრეს ხასიათს, რაიცა უნდა იყოს საღამოს დედა-ძარღვი და ნივთიერ გამორჩენაზედ არა ნაკლებს ყურადღებას უნდა იქცევდეს საღამოს გამმართველთაგან.

ნეტა რატომ არ გვინდა, რომ ქართულ საღამოს,—სულ მთლად ქართული თუ არ იქმნება,—ცოტა რამ ქართული ელფერი მაინც ედოს, თუნდა სახელის გასამართლებლად?

იქმნება საღამოს თავის-ნება მოთავენი, სხვათა შორის, იმითი ხელმძღვანელობენ, რომ ბაქოში მცხოვრებთა უმრავლესობა უცხო ტომისანი არიან, ქართული საღამო ვითომც იმათთვის გაუგებარი იქმნება და არც დაესწრებიანო?! რომ ეს შემცდარი აზრია, ამის უტყუარი მაგალითია, თუნდა შიგ შუა რუსეთშიც-კი გამართული ქართული საღამოები, რომლებსაც ისრეთის თანაგრძნობით და ინტერესით ესწრება რუსის საზოგადოება. ამას გარდა, ბაქოს და მის მადნებზედ მრავალი ქართველობა სცხოვრობს და თითქმის ყველა მათგანი თავისს მოვალეობათა სთვლის ამ საღამოს უეჭველად დაესწროს. სომხები, თათრები, რუსები და სხ. ეტანებიან იმას გარდა, რომ ეს საღამოები საქველ-მოქმედოა,—კიდევ იმიტომ, რომ ჰფიქრობენ, ვნახავთ ქართულ ორიგინალურ სიმღერათამაშს და, ცოტად თუ ბევრად, გავეცნობით მეზობელ ქართველების ცხოვრების ზოგიერთ ამბავს. ყველა ამის ნაცვლად, ჩვენდა გასაცნობათ მოსულ უცხო საზოგადოებას, ვაწვდით უცხო ენაზედ, იმ გვარ ყავახნურ,—მეტი რომ არა სთქვას კაცმა,—უშინაარსო ტვინის ნაცოხნარს, როგორც იყო შარშან წარმოდგენილი „Забава“, რაიც „ხვევნა-კოცნით დაიწყო და ხვევნა-კოცნითვე გათავდა“, როგორც ეს შენიშნა თავის დროზედ „ივერიის“ კორესპონდენტმა. ნეტავი იაფად მაინც დასჯდომოდათ ეს „უგულო ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“! მარტო ქ. კომმისარჟევსკაიას 800 მან. მიეცა; მეორეს კიდევ 150 მან. ამ ფულით ხომ მთელი ჩვენი დასის მოწვევა შეიძლებოდა ტფილისიდგან.

გსურთ საღამოთი უცხონი მეტად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესოთ? ჩაურთეთ პროგრამმაში რამელიმე აზრიანი ერთ-ორ მოქმედებიანი რუსული და სომხური პიესა; ან მიიწვიეთ იგივ ჩვენი სახელოვანი ვლ. მესხიშვილი „შუშლილის წერილების“ წასაკითხად რუსულ ენაზედ,—მე შენ გითხრა, დამსწრე საზოგადოებას ალტაცებაში ვერ მოიყვანს! ან რატომ არ უნდა გაიმართოს ცხოველი სურათები, ჩვენის ცხოვრების შესახები. ან რა შნო აქვს ქართულ სალამოს, თუ ეროვნული სიმღერები და ცეკვა-თამაში არ იქნება!? წარმოიდგინეთ, ამ მხრივაც ბევრით წინ გაგვასწრეს განჯის ერთმა მუჭა ქართველობამ.

ვარწმუნებთ შარშანდელ სალამოს ინიციატორებს, რომ, მგონი, არც ერთი უცხო დამსწრეთაგანი სალამოს მადრიელი არ დარჩენილა. იმას აღარ ვიტყვი, რომ იქ დამსწრე ქართველები სრულიად გულ-დაწყვეტილი დაბრუნდნენ. ვიმეორებთ: ეროვნული სიმღერები უეჭველად უნდა ამშვენებდეს სალამოს; ამისთვის კიდევ საჭიროა ტფილისიდგან, ერთი კვირითაც არის, ბ-ნ კავსაძის დაბარება ხოროს შესადგენად. ხოროსთვის საჭირო 20—25 სიმღერის მოყვარულთ, ჩვენის მხრივ პირობას ვსდებთ, წარუდგინოთ.

საზოგადოდ ამ სალამოების გამართვა ერთისა და ორის ახირებაზე და „კაპრიზებზედ“ არ უნდა იყოს დამოკიდებული... აქაურ საზოგადოებას ყოველთვის ნება აქვს მოითხოვოს და ითხოვს კიდევაც, სალამოს მეტი შინაარსი და აზრიანობა ჰქონდეს, და თქვენც, ბატონებო, ზნეობრივად მოვალენი ბრძანდებით, შეძლების და გვარად, საზოგადოების მოთხოვნილება დააკმაყოფილოთ. და რომ საქმე სასურველად დაგვირგვინდეს, საჭიროა ერთი თვის, ან თვე-ნახევრის წინად მოახდინოთ საზოგადო ყრილობა, რომელზედაც უნდა შემუშავდეს მომავალ სალამოს პროგრამმა.

გ. ახალციხელი.

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ უკვე მიიღო დასაბუთებული შუამდგომლობა მინსკის ქალაქის მოურავისა მინსკში უნივერსიტეტის დაარსებისა. ქალაქის მოურავი ამბობს თავის მოხსენებაში, რომ მინსკი შუა-გულია ჩრდილო-დასავლეთის რუსეთისა, აქ ბევრი რკინის გზები იყრის თავს და ქალაქში 100,000-ზედ მეტი მცხოვრებელიაო. თუ უნივერსიტეტი დაარსდება, მევწირავთ მამულს, ღირებულს 300,000 მან. და ერთხანად გავიღებთ ნახევარ მილიონ მანათს ფულსა საუნივერსიტეტო შენობათა ასაგებადაო.

— ახალის განკარგულებით, ზოგიერთნი საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, თავიანთ წესდების ძალით, განათლების გავრცელებასაც მისდევდნენ და საერო გასართობის მართვასაც ეტანებოდნენ. ახალი განკარგულება მოუხდენია მთავრობას, რომ ეს ორი საქმე განყოფილ იქმნას და საზოგადოებანი, მზრუნველნი განათლების გავრცელებისათვის საერო განათლების გამგებლობას დაექვემდებარნენ, ხოლო ის საზოგადოებანი, რომელთაც საერო გართობის მართვა აქვთ წესდებით დავალებული, უნდა დაექვემდებარნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობას.

— რუსეთს დიდ-ძალი კვერცხი გაუტანია საზღვარ-გარედ ამ წლის პირველ ექვს თვეში. სახელდობრ გაუტანია 1,478 მილიონი ცალი, 24.320,000 მან. გერმანიას წაუღია 9 მილიონისა, ინგლისს—7 მილიონისა, ავსტრია-უნგრეთს—6 მილიონისა.

— იაპონია სთხოვს რუსეთის მთავრობას, რომ მანჯურიიდან ჯარები გაიყვანეო. ჩინეთის დამარცხების შემდეგ მანჯურია ჩვენ გვეჭირა და, თუ დავთანხმდით დაგვეცალა ეს ქვეყანა იმ პირობით, რომ ჩინეთის იმპერიის საუკუნო საკუთრებად უნდა დარჩენილიყოვო.

— მოსკოვის შემოსავალ-გასავალი სამერმისოდ აღრიცხულია 20 მილიონამდე.

# უცხოეთი

**იაპონია.** მუკდენი რუსების ჯარებმა დაიკავეს, მაგრამ შემდეგ სხვა-და-სხვა მოსაზრებით დასტოვეს იგი. ახლა ისევ ჩააყენეს რუსებმა თავისი ჯარები მუკდენში. გერმანული გაზეთები შემდეგს იუწყებიან ამის შესახებ:

პეკინი, 1 ნოემბერს. ჩინეთის მთავრობა დიდად შეშფოთებულია ხელმეორედ მუკდენის დაჭერით რუსეთის ჯარების მიერ და ამის შესახებ მოლაპარაკება აქვს მეგობრულ საელჩოებთან. მთავრობის ცნობით ხუთშაბათს (ამ ერთის კვირის წინად) 15,000 რუსმა დაიჭირა მთავრობის დაწესებულებანი ქალაქში, გაჰყარა ჩინელი მოხელენი და ჩაჰკეტა კარები. თვით მუკდენსა და მის მიდამოებში 10—12 ათასი ჩინელი სდგას. მაგრამ ჩინეთის სარდლებმა სასტიკი ბრძანება მიიღეს,—არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიოთ რუსებსა და ყოველნაირად ეცადეთ, შეტაკება არ მოგიხდეთო.

„მუკდენის ხელახლად დაჭერის მიზეზი შემდეგი იყო: რუსებმა განიზრახ დაჰნიშნეს ყაჩაღი ერთ-ერთ საპოლიციო რაზმის უფროსად მანჯურიაში. ჩინელებმა არა ერთხელ მოსთხოვეს რუსებს,—ეგ კაცი უნდა მოგვცეო; ამას წინად რუსებმა კიდეც დააკმაყოფილეს ჩინელთა მოთხოვნილება. ეს კაცი არც სამართალში მისცეს, არც გამოძიება დაჰნიშნეს: ერთმა ჩინელმა ოფიცერმა თავის ნებით მოჰკვეთა თავი. მაშინ რუსებმა მოითხოვეს იმ ოფიცრის დასჯა ხუთის დღის განმავლობაში და დაემუქრნენ,—წინააღმდეგ შემთხვევაში მუკდენს დავიჭერთო. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიწერ-მოწერა გამართა და თხოულობდა,—დამნაშავე ოფიცერს სიკვდილით დასჯა სამშობლოდგან გაძევებით შევუცვალოთო. ამ დროს-კი ცნობა მიიღეს,—მუკდენი უკვე დაიჭირეს რუსის ჯარებმაო. ამბობენ, ეს ამბავი გაუგებრობის მიზეზია,—ჩინელთ ეგონათ, მეტი ვადა ჰქონდათო“.

როგორც ჰფიქრობენ, ეს ცნობა იაპონიიდგან უნდა ჰქონდეთ მიღებული გერმანულ გაზეთებს.

— გაზ. „მორნინგ პოსტ.“-ის კორესპონდენტი საყურადღებო ცნობას იუწყება იაპონელ მზვერავთა და ჯაშუშთა ორგანიზაციის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტი დაბეჯითებით ამბობს,—არც ერთი რუსეთის სამხედრო გემი არაა აზიის წყლებში, რომლის შესახებაც დაწვრილებითი ცნობები არ ჰქონდეს იაპონიის საადმირალოსაო: ზედ მიწევნით იციან, თუ როგორაა შეიარაღებული, რამდენი მოსამსახურეა, როგორაა შიგნით მოწყობილი და სხ. აი, როგორ ტყობილობენ იაპონელები ამ ცნობებს: როგორც-კი მიადგება რუსეთის სამხედრო გემი ჩინეთის ან იაპონიის ნავთსაყუდელს, გემის უფროსი ჰქირაობს ადგილობრივ მუშებსა გემის დასატვირთად, გასათბობად და სხ. ამ მუშათა შორის მუდამ არიან იაპონელი ოფიცრები. ეს ოფიცრები ყოველგვარ მუშაობას ჰკისრულობენ, ოღონდ-კი რამდენიმე ხანი დაჰყონ გემზე და საჭირო ცნობები შეჰკრიბონ. ხშირად ხდება, რომ უფროსი ოფიცრები-კი ქვა-ნახშირს ეზიდებიან ზურგით გემის დასატვირთავათ, რომ ამნაირად გემზე მიხვდნენ და მისი შინაგანი მოწყობილობა გაიგონ.

მთელს ჩრდილოეთ ჩინეთსა, მანჯურიასა და რუსეთის სამფლობელოშიაც-კი ასობით და ათასობით დაიარებიან იაპონელნი ჩინურად ჩაცმულნი, გრძელის ნაწნავებითა; უმეტეს ნაწილად მეზურგულობას ასრულებენ. ყველანი ბეჯითად სწავლობენ ადგილ-მდებარეობას და ყოველსავე თავის მთავრობას ატყობინებენ. ხშირად ხდება, რომ იაპონელები, ჩინელთა სახით, რუსების მოხელეებს და ოფიცრებს უდგებიან მოსამსახურეთ შორეულ აღმოსავლეთშიო.

**ინგლისი.** ლიბერალთა დასის ყოფილ მეთაურს, 76 წლის მოხუც ჰარკორტს ლიბერალთა კრებაზე როტენსტალლში ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ჩემბერლენის საბაჟო პროექტების წინააღმდეგ. „ეჭვი არა მაქვსო,—განუცხადებია ორატორს,—რომ მფარველობით სისტემის მქადაგებელნი თავიანთ სახარებას გაიყვანენ. მისი მოგანგაშენი ყოველ წოდებას ცრუ-მორწმუნეობას უკიჟინებენ. მაგრამ მათი რიხიანი და გაბედული მსჯელობა ყალბ საბუთებზეა დამყარებული, სრულიად უნიადაგო შიშს უნერგავს საზოგადოებას გულში; განზრახ დამახინჯებულ ციფრებითა და ფაქტებით უნდათ დააფრთხონ ხალხი და შემდეგ ძალაუნებურად მოახვიონ თავზე თავისი პროექტები. მხოლოდ ამგვარი მოქმედება რა საკადრისია, როდესაც ყველასათვის ცხადია, რომ მათი პროექტები სრულიად ეწინააღმდეგება საღ აზრსაც და გამოცდილებასაც. დასს, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, არაოდეს არ შეუძლიან ალიაროს ასეთი სახარება; როგორც მოწინავე დასი, იგი არასოდეს არ დათანხმდება, რომ გაძვირებულ იქმნას უპირველეს საჭიროების მოთხოვნილებანი; ჩვენი აზრი ისაა, რომ ყოველ წოდებას განვუადვილოთ ცხოვრება. ჩვენ არა გვწადიან ბაჟი დავადოთ სურსათ-სანოვაგესა და საბაჟო ომში ჩავებათ. ჩვენ ვისწრაფით სკოლის ორგანიზაცია სამართლიან საფუძველზე დავამყაროთ. ჩვენა ვთხოულობთ სახელმწიფო გადასახადთა შემცირებას, მიწადმფლობელობის რეფორმასა, სასმელების რეფორმასა, მუშათა კანონმდებლობის შეცვლასა, საეკკლესიო რეფორმასა. ჩემის აზრით, ეს სიმბოლო სარწმუნოებისა უფრო კეთილშობილი და დიადი იქნება. მფარველობითი მისწრაფებანი რეაქციონურ დასისა სჩვევია; პროგრესიული დასი-კი ალებ-მიცემობის თავისუფლებას უნდა უდგეს მხარშიო“.

**საფრანგეთი.** ხმები მინისტრ პრეზიდენტ კომბის სამსახურიდან გამოსვლის შესახებ თანდათან ვრცელდება.

გაზ. „ფიგარო“-ს საფუძვლიანად მიაჩნია ეს ხმები, რადგან მინისტრ-პრეზიდენტის შვილი ედგარ კომბი, რომელიც უფროს მდივნად იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა. როგორც ვიციით—ამბობს გაზეთი—მინისტრ-პრეზიდენტ კომბს არა ერთხელ განუცხადებია, გული დაიმედებული არ მექნება, თუ ჩემი შვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში არ დავიგულვეო; ჩემთვის შეუძლებელია უიმისობაო. ახლა-კი, როცა შვილი სტოვებს სამინისტროს, ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ მამაც თავს ანებებს შინაგან საქმეთა მინისტრობას. ამგვარად ედგარ კომბის სახელმწიფო საბჭოს წევრად ჩარიცხვა წინამორბედი უნდი უნდა იყოს მინისტრ-პრეზიდენტის სამსახურიდგან გამოსვლისაო. როგორც გაზეთი ამბობს, კომბს პირდაპირ განუცხადებია ერთის თავი მეგობრისათვის,—არა მსურს ბიუჯეტის განხილვის შეწყვეტა, მხოლოდ, როგორც-კი მოვრჩებით მის განხილვას, სამსახურიდგან გავალო. გაზეთები „მატენი“ და „ტან“-იც ადასტურებენ „ფიგარო“-ს სიტყვებსა, მხოლოდ დასძენენ,—შეიძლება კომბმა ახლა გადასთქვას თავისი განზრახვა, რომელიც გამოწვეული იყო მუშათა ბირჟაზე მომხდარ არეულობისა და სუბპრეფექტთა შესახებ კამათის შედეგითაო. მემარცხენეთა გაზეთობა დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ამ ხმებსა, მაგრამ არც გადაჭრით უარჰყოფს. გაზ. „პტი რეპ“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ სრულებით არა იციან-რა კომბის სამსახურიდგან გასვლის შესახებაო. რაიცა შეეხება ედგარ კომბის ახალ თანამდებობაზედ დანიშვნას, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ აქედგან, როგორიც „ფიგარო“-ს გამოჰყავს, რადგან ედგარ კომბს შეუძლიან ახალ თანამდებობასთან ძველიც შეასრულოსო. გაზ. „რადიკალ“-ი ამბობს,—მართალია, კომბი გულ-ნატკენია პალატაში უკანასკნელად ხმის ჩამოტარებით, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმდენად-კი არა, რომ იმის გამო თავი გაანებოს სამსახურსა და არ განახორციელოს ის პროგრამა, რომელსაც მხარს უჭერს დიდი უმრავლესობა რესპუბლიკელთაო.

# ნარკვევი

«ს. პეტ. ვედ.»-ში ალ. კახი ამტკიცებს სრულიად სამართლიანად, რომ ტყუილად დაუხვევიათ ხელზედ სასტიკ ღონისძიებათა ხმარება კავკასიაში ყაჩაღობის აღმოსაფხვრელად „მოსკოვ. ვედ.“-ებსა და „ნოვ. ვრემ.“-საო. არც სასამართლოს სიმკაცრე და არც ურთიერთ შორისი თავდებობა სოფლის საზოგადოებათა ამ საქმის გადაწყვეტას ვერ უშველის, პირ-იქით, უფრო გაამწვავებსო.

ავაზაკობის გავრცელება-გაძლიერებას «ნოვ. ვრ.» ამტკიცებს იმით, რომ მოჰყავს ცნობები, თუ რამდენჯერ მოჰხდა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 2 თვის განმავლობაში. მაგრამ, განა ეს რამეს ნიშნავს? აიღეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ბოროტ-მოქმედება ხდება შიდა რუსეთის რკინის გზებზე და თქვენ დარწმუნდებით, რომ კავკასიაზე ნაკლები ამბავი არც იქ ხდება. განსხვავება მხოლოდ იარაღშია: კავკასიელნი ტყვიასა და ხანჯალს ხმარობენ, რუსები-კი საწამლავსა და ნაჯახს. შემდეგ გაზეთი არწმუნებს, ვითომ კავკასიელი ავაზაკები დაუსჯელნი რჩებიან. ეს ხომ ცილის-წამებასა ჰგავს: უკანასკნელ წლებში მრავალი ყაჩაღი დაიჭირეს, ბევრი მოჰკლეს, ბევრიც ჩამოახრჩეს, ეს არის განა დაუსჯელობა? სასამართლო ლმობიერად არ ეკიდება ავაზაკთ: როგორც მოწმობს სახალინის კატორღის ერთი ისტორიკოსი, იქ 18 კაცზე 16 კავკასიელი მოდის! მეტი რაღა გნებავთ? «ნოვ. ვრ.» ჰქადაგობს კიდევ მცხოვრებთა საურთიერთო პასუხის-გებას. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კანონით, ყოველი კაცი თითონ აგებს პასუხს დანაშაულობისათვის; მეორეც ისა, რომ კავკასიაში უკვე სცადეს ეს წესი და არავითარი ნაყოფი არ მოჰყვა. როდესაც მამედ-ბაისირმა მოჰკლა ბოქაული თავ. აბაშიძე, მის სოფელში «ეგზეკუცია» ჩააყენეს და ისე გაამწარეს მცხოვრებნი, რომ სოფლელთაგან მრავალი ყაჩაღად გადავარდა...

შემდეგ „ნოვ. ვრ.“ ამტკიცებს, რომ ავაზაკობის წინააღმდეგ ბრძოლის უნაყოფობა იმითაც აიხსნება, რომ იქაურ ადმინისტრაციაში ცოტა რუსი მსახურობსო. ეს ნამდვილი სიცრუეა. საერობო სადარაჯო რაზმში $^2/_3$ რუსია და მხოლოდ $^1/_3$ ადგილობრივი მკვიდრი; ადმინისტრაციაში მსახურებს $^3/_5$ რუსი და მხოლოდ $^2/_5$ მკვიდრი.

გარდა ამისა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავაზაკებთან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა. გაიხსენეთ თავ-განწირული სამსახური აბაშიძისა, ჩიქოვანისა და სხვათა...

დასასრულ, ავტორი კვლავ იმეორებს, რომ კავკასიაში ავაზაკობის მოსასპობლად რეპრესიები არ გამოდგება და ისევ კულტურული მუშაობაა საჭირო.

კავკასიაში ამ ჟამად დიდი დუღილია ცხოვრებისა, მიმართული ევროპიულის კულტურის შესათვისებლად და ამ დიდს ლაბორატორიაში შესაძლოა ბევრი რამ უწესოება მოხდეს, ბევრი ვაი-ვაგლახი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ შესცვლის საერთო სურათის ხასიათს.

# ბიბლიოგრაფია

## Gli Armeni cattolici in Georgia el e questioni fia cattolici Armeni e Georgiani.

პასუხი პირველის მოხსენებისა.

სრულიად ჭეშმარიტებას მოკლებული და ფაქტის წინააღმდეგია სომხების ბლომად გადმოსახლება საქართველოში ძველ დროდგანვე. თუ რომ სომხები ყველა ქალაქებში ქართველებზედ მეტი ყოფილიყვნენ, მაშინ თავიანთი ენა და ზნე ჩვეულება-კი არ უნდა დაევიწყებინათ, არამედ თავიანთის უძლიერესის ზეგავლენით ქართული ენა და ზნე-ჩვეულება უნდა მოესპოთ და ის მათზედ უმცირესი რიცხვი ქართველებისა თავიანთ საზოგადოებაში უნდა შეეთვისებინათ და ყველა გაესომხებინათ. ესეთი მოვლენა აუცილებელი იყო. გარნა საქართველოში სრულებით არსად ვხედავთ ამის კვალს. აგრეთვე არც ერთი ძველი მოგზაური და მწერალი არ მოგვითხრობს იმ დროს, ესე იგი შუა საუკუნეებში, სომხების ყოფნას საქართველოში. ჩვენი ისტორიაც სრულებით გაჩუმებულია ამაზედ. მართალია, ამას ზოგიერთი სომხების მწერლები იხსენიებენ; გარნა უკვე ცნობილია სომხის მწერლების სიყალბე ამისთანა საგნებში. ამისთვის მათ გამოგონილს ამბებს ვერ მივსცემთ ისტორიულ ღირსებას და მნიშვნელობას. გარდა ამისა, ბევრი უცხო ძველი მწერლების და თვით ზოგიერთ სომხის მწერლების მოწმობა (რომლების აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს) ხელთა გვაქვს, და გვიჩვენებს გარკვევით, რომ სომხები უწინ, საქართველოში-კი არა, ბიზანტიის იმპერიაში გადასახლებულან გუნდ-გუნდობით სხვა-და-სხვა დროს, და მტრისათვის ისრე თავი დაუხწევიათ, რაც შეუძლებელი იყო საქართველოში; რადგან ხშირად სასომხეთის უბედურება საქართველოსაც სწვდება. ამისთვის სომხების ბლომ-ბლომად გადმოსახლება საქართველოში, უწინარეს მეჩვიდმეტე საუკუნისა, და მათ მიერ ყველა ქალაქების გავსება ახლანდელი გაზვიადებული პატრიოტა სომხების ცხადი ჭორია, და არა ისტორიული ფაქტი.

ამისი მსგავსი სომხების გამოგონილი ჭორია სომეხ უნიტარების შემოსვლა საქართველოში 1334 წ. და მათ-მიერ კათოლიკობის გავრცელება მარტო სომხებში. ეს სიცრუეა ჯერ იმიტომ, რომ სომხების უმრავლესი ერი (როგორც ჰგონიათ) არ იყო საქართველოში; მეორედ იმიტომ, რომ დაწყებული 1230 წლიდან მეთოთხმეტე საუკუნის ბოლომდე ევროპიდან გუნდ-გუნდობით მოდიოდნენ უკლებლივ დომინიკიანთა და ფრანცისკიანთა მისიონერები, რომლებიც ქართველებში ავრცელებდნენ კათოლიკობას, ასე რომ გაკათოლიკებული ქართველები მისიონერებადაც მიდიოდნენ უცხო ქვეყნებში. ამნაირ მაგალითს ვხედავთ თვით 1321 წ., როცა სომეხ უნიტარების ხსენებაც არ იყო ჯერ ქვეყანაზედ (იხილე «ისტორია კათოლიკობისა» გვ. 28). ამისთვის არავითარი საჭიროება და რაიმე მიზეზი არ იყო, ახლად გაკათოლიკებული სომხის უნიტორი მისიონერები შემოსულიყვნენ საქართველოში, როდესაც სასომხეთში უფრო საჭირო იყო მათი შრომა. ჩვენ ამათ საქართველოში ცოტა დროებით ვხედავთ მარტო მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში, როდესაც ევროპიელ მისიონერებს, ოსმალების გამო, ვეღარ შეეძლოთ შემოსვლა. ამიტომ ცხადი და ნამდვილი სიცრუეა, როცა ამბობს სომხის მწერალი, ვითომცა გამრავლდა სომეხ კათოლიკების რიცხვი, რომ მათთვის ტფილისში საეპისკოპოსო დააარსესო. ჩვენ დღეს ხელში გვაქვს უტყუარი საბუთები ტფილისში 13 ლათინის ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ. ამათში ერთი სიტყვაც არ არის სომხების გამო. პაპები როცა ეპისკოპოსებს ნიშნავდნენ, მათ უსაზღვრავდნენ ქვეყანას და ერს ამ სიტყვებით: „ქართველების სამეფო, ანუ ქართველების სამეფოს წარჩინებული ქალაქი ტფილისი და სხ. (იხილე „ისტორია კათ. გვ. 32—50). ფიქრადაც-კი წარმოსადგენი არ არის, რომ ქართველებში გამოგზავნილი ეპისკოპოსები მათთვის არ ყოფილიყვნენ, არამედ სხვა ტომისათვის. ამას ისტორიებიც ცხადად მოწმობენ ტფილისის პირველი ეპისკოპოსის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ ამას: „ყოვლად განათლებულმა იოანე პატრმა, საქართველოს ტფილისის ეპისკოპოსმა თავის წესის ძმა ბერებთან ერთად, დაუღალავად იშრომა ქართველების გასაკათოლიკებლად. ამ ერის გასაწვრთნავად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი სთარგმნა ქართულ ენაზედაო. L. annèe Dominicaine par le P. F. Clarles de s. Nincent, p. 107.). ქართველების გარდა საქართველოში იმ დროს (1329 წ.) ურწმუნოებიც იყვნენ და არა სომხები. მისიონერების თავდაპირველი საზრუნველნი ქართველები იყვნენ. გარნა ურწმუნოებსაც არ სტოვებდნენ შეუწევნელად. არც ამის შესახებ გვაკლია ისტორიული მოწმობა. პირველის ეპისკოპოსისას ასე მოგვითხრობენ: „იოანე ფლორენციელმა, თავისი ცხრამეტი წლის ეპისკოპოსობის განმავლობაში, მეტად შეაყვარა თავი, როგორც ქართველებს, ისე ურწმუნოებს, რომლებიც მათ გარეშე სცხოვრებდნენ. იმან თავისი წესის ბერების გარდა, მისიონის სამსახურში მოიშველია ეგრეთვე წმიდა ფრანცისკეს ბერებიც, რათა ქართველები და ურწმუნოები გაეკათოლიკებინათ“. (Storia Universale delle Missioni catoliche, tom. 1, p. 125.) როგორც სომხის ერი, ისე სომეხი მისიონერები გამორიცხული არიან აქ, და იმ დროებში კათოლიკობის გავრცელებისათვის არავითარი მონაწილეობა მიუღიათ. როგორც ამ პირველი მისიონერებისა ისე შემდეგ საუკუნეებში მოსული მისიონერების საზრუნველი და გასაკათოლიკებელი ქართველი ერი იყო, რის გამო მათ შესახებ ევროპაში ჰგზავნიდნენ სხვა-და-სხვა მოხსენებას, სადაც ერთი სიტყვა არ არის სომხების შესახებ (იხილე „ისტორია კათოლიკობისა“ გვ. 84—87). სომხებს ასახელებენ მარტო მდევნელებათ და მტრებად კათოლიკე სარწმუნოებისა. ესრეთვე ისტორია უტყუარის საბუთებით მოწმობს თეატინელ და კაპუჩინ მისიონერების დიდ შრომას და უხვს ნაყოფს ქართველ ერში. ავტორი ამ ცხადზედ უცხადეს ფაქტების წინაშე განგებ თვალებს ხუჭავს და ცდილობს მათ უარყოფას, მაგრამ დიდად სცდება, რადგან ამ რიგობით უფრო ამტკიცებს თავის სიყალბეს და უფრო ცხად ჰყოფს ამ ისტორიულ ფაქტების სინამდვილეს.

(შემდეგი იქნება)

მღვ. მიხელ თამარაშვილი.

# წერილები

## რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის „ივერიის“—საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო პატივცემულს ქველმოქმედს ნიკოლოზ დევლეთასძეს მეტრეველს, რომელმაც ალაგირის ქართულ სკოლისათვის დაიკვეთა ამ 1903 წლის „კვალი“ და „Журналъ для всѣхъ“ მთელის წლით.

სამკითხველოს გამგე პეტრე მეტრეველი.

ს. ალაგირი (ოსეთი).

## II

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, მადლობა გამოვუცხადო მცხოვრებთ სოფელს ვაჭევში (შორაპნის მაზრა) გლეხთ: იოსებ გლახუას ძესა და სვიმონ პატასძეს ცერცვაძეთ, რომლებმაც რწმუნებულს ჩემდა ვაჭევის წმ. გიორგის შტატის ეკლესიას შემოწირეს: პირველმა საეკლესიო ხატები, ღირებული 450 მან. ხოლო უკანასკნელმა 10 მან. თორმეტ საუფლო დღესასწაულის ხატის ფასად. ვისურვებთ, რომ სხვებმაც წაჰბაძონ ამისთანა საქველმოქმედო საქმეს.

ვაჭევის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი
სპირიდონ ბრეგვაძე.

## III

საჩხერის საქალებო სკოლის მასწავლებელმა ქ-ნ. ეკატერინა ნიჟარაძემ ჩემი შვიდი წლის ქალი იულია, ერთის თვის სკოლაში ყოფნის შემდეგ, სასწავლებლიდგან დაითხოვა და მიზეზად შემდეგი დაასახელა: ბავშვი უნიჭოა და მასთან ცელქიო. პირველიც და მეორე მიზეზიც საეჭვოდ მიმაჩნია, რადგან საღი აგებულების ბავშვის უნიჭობის შეტყობა ერთ თვეში შეუძლებელი მგონია და შვიდის წლის ბავშვის უცელქობაც მეეჭვება. სრული საბუთი მექნება ვიფიქრო, რომ მასწავლებლის ასეთი მოქმედება კერძო რამ მოსაზრებითაა გამოწვეული, თუ ის კეთილ არ ინებებს და გაზეთ „ივერიის" საშუალებით არ გაგვაგებინებს მიზეზს მისის ასეთის მოქმედებისას, როგორიცაა ბავშვის სასწავლებლიდგან გამორიცხვა და ისიც საჩხერეში, საბუთიან მიზეზის დაუსახელებლად.

აზნაური ივანე სიმონის ძე გოდაბრელიძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოკტომბერი

**კურმიში.** ერობამ გადასწყვიტა დააწესოს მეხუთე მედიცინური უბანი ამბულატორიით, იშუამდგომლოს, რომ დააფუძნონ თანამდებობა აგრონომისა, რომელსაც ყოველწლიური შემწეობა მიეცემა სახალხო განათლების სამინისტროდან და მოემატოს ჯამაგირი ერობათა სკოლის მასწავლებლებს.

**ბერლინი.** დილით გამოცხადდა შემდეგი ბიულეტენი: ,,ოპერაციის შემდეგ ანთება უკვე ჰქრება; მდგომარეობა ყელის მარცხენა მხარისა უმჯობესობაშია. რვა დღემდე ჭრილობა გაუმთელდება. საზოგადო მდგომარეობა კარგია. სიცხე და მაჯა ნორმალურია''.—იმპერატორმა დილით მიიღო ლუკანუსი მოხსენების მოსასმენად.

**ვენა.** პორტა არა თანხმდება, რომ ხილმი-ფაშასთან დანიშნულმა ამხანაგებმა ევროპიელებმა კანტროლი იქონიონ ახლად დაყოფილს ადმინისტრატიულ ადგილებზე, და განაცხადა, რომ ჟანდარმერიაში ცვლილება მოხდა და გერმანიის ოფიცრებს აქვთ მინდობილი თვალ-ყური უგდონ სამხედრო ოპერაციებს და ჟანდარმერიის გადაკეთებასაო.

**პარიჟი.** ფრანგთა პუბლიცისტი დეუ, რომელიც პაპთან იყო, მოგვითხრობს, რომ პიო X-მ ილაპარაკა ფრანგთა საეკლესიო პოლიტიკაზე და უწოდა ულმერთოვო. იმის გამო, რომ საფრანგეთში ავიწროვებენ მართლმორწმუნეთა, პაპმა მიუთითა სხვა რესპუბლიკებზე, სადაც კათოლიკეებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული, და სთქვა, საფრანგეთის კათოლიკეებმა შურით უნდა უცქირონ ინგლისსა და გერმანიაში მყოფ კათოლიკეთა ხვედრსაო.

**სტამბოლი.** იტალიის ელჩმა ჩააბარა პორტას განცხადება იმის შესახებ, რომ ის მხარს უჭერს პირობით შეკრულ სახელმწიფოთა ნოტას.—ინგლისის თეირანელი ელჩი მიემგზავრება სპეცია ლისტებთან ერთად კომერციულ და სამხედრო საქმეთა შესასწავლად სპარსეთის ყურეს ნაპირის ადგილ-მდებარეობისა. მივა ბასსორას და ბაღდადამდე.

**ვაშინგტონი.** პანამის რესპუბლიკის ელჩი მოვიდა და დაუყოვნებლივ აცნობა გეის, მზად ვარ და მინდობილიც მაქვს, პანამის არხის გაკეთების შესახებ მოლაპარაკება დავიწყოვო.

**ნეაპოლი.** ფინანსთა ახალმა მინისტრმა როზანომ თავი მოიკლა.

28 ოკტომბერი.

**რომი.** პაპის თანადასწრებით შესდგა კრება პირველის საიდუმლო კონსისტორიისა. პიო მე-X-მ დანიშნა მერრი-დელ-ვალი კარდინალად, გრაფი შემბეკი—მოგილევის ეპისკოპოსად და ბარონ როოპი—ვილნოს ეპისკოპოსად.

**ბრესტი.** ჩრდილო ესკადრამ ბრძანება მიიღო, მზად იყავ შერბურგს წასასვლელად და სალამი მიართვი იტალიის მეფე-დედოფალს, როცა ინგლისს გაემგზავრნენო.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობა ყოვლად კარგს მდგომარეობაშია.

**სტამბოლი.** ყველა აქაურ საელჩოებს ინსტრუქცია მოუვიდა, რომ მხარი დაუჭირონ რეფორმათა მოთხოვნილებას და მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი; პროგრამის დაწვრილებით განსახილველად მოწვეულია რამდენიმე რუსი და ავსტრიელი კონსულები იმ ქვეყნებისა, რომლისთვისაც განზრახულია რეფორმების შემოღება.

პორტა იუწყება, რომ აჯანყებულთ ალყა შემოარტყეს ბერძენთა სოფელს ცირნოვოს ნევროკოპის ოლქში, დაეცნენ მცხოვრებთ ღვთის მსახურების ასრულების დროს და მოჰკლეს ოთხი სული, მათ შორის ერთი სკოლის მასწავლებელიცაო. მცხოვრებთ მოჰკლეს ოთხი მეამბოხე. ჯარის კაცთა რაზმი სდევნის ჯუფთს.

**პეტერბურგის ბირჟა** 24 ოკტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4½% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.. მამულთ ბანკისა | 95⅛ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 451½ მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 339 წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 286½ წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | 91⅞ |
| 6% ქუთ. სა. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

## გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკტომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკტომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

### პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

### საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

### ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით | 60 კ. |
| ერთ გზობით | 30 „ |
| ქალაქიდგან ავლაბარში | 40 „ |
| ნავთლუღში | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნავთლუღს. | 30 „ |
| ნათლუღიდგან ქალაქს | 40 „ |
| ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს | 40 |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 1 მ. |
| ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე | 80 კ. „ |
| კრწანისის ბაღამდე | 80 „ |
| ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს | 60 კ. |
| იქიდამ ნათლუღამდე | 1—20 |

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკტომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკტომბრამდე 30 კ.

# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის

**ვეფხის ტყაოსანი**

4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**ქაჯანა**

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

# ბალანსი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 ოკტომბრისათვის 1903 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1. კასა. | | 4 443 | 77 |
| 2. მიმდინარე ანგარიშები: | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | 310—06 | | |
| ბ) სახელმწ. ბანკ. ბათუმ. განყოფილებაში | 815—64 | | |
| გ) ტფილ. საკომერც. ბანკში | 784—21 | 1,909 | 91 |
| 3. პირობანი მიმდინარე ანგარიში. | | 1,646 | 05 |
| 4. განაღდება თამასუქებისა. | | 965,646 | 54 |
| 5. განაღდება კუპონებისა და ფასიან ქაღალდებისა. | | 31,750 | 85 |
| 6. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწ.-მიერ უზრუნველ,-ყოფ. ფას. ქაღალდ. | 103,612— | | |
| ბ) გირავნობის ფურც. და ობლიგაციები კერძო ბანკებისა. | 72,760— | | |
| გ) ოქროსა და ვერცხ. | 22,174— | | |
| დ) საქ. კვიტანციებში. | 3,193— | | |
| ე) საქონელში | 38,868— | 240,607 | — |
| 7. კრედიტი ფასიან ქაღალდების გირავნობით: | | | |
| ა) უზრუნ.-ყოფ. ფას. ბილეთ. | 50,240 | | |
| ბ) არა უზრუნ.-ყოფილ. | 31,387—92 | | |
| გ) საქონლით | 471,654—62 | 553,282 | 54 |
| 8) კორესპონდ. აქვთ: | | | |
| ა) იმათის ანგ. Loro | 2,166,566—01 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით Nostro | 1,509,787—79 | 3,675, 3 | 80 |
| 9. სავარაუდო თანხის სარგებლიანი ბილეთები. | | 55,584 | 89 |
| 10. სამოსწავლო თავნის ბილეთები. | | 36,000 | — |
| 11. პროტესტ ქმნილი ვექსილები | | 9,290 | — |
| 12. ვადა-გადაცილებული სესხები. | | 1,353 | 30 |
| 13. ღერბის მარკები. | | 382 | 10 |
| 14. მიმდინარე ხარჯები | | 27,376 | 25 |
| 15. დასაბრუნებელი ხარჯები | | 9,826 | 66 |
| 16. მოწყობა და მომართვა | | 2.613 | 50 |
| 17. უძრავი მამული. | | 74,694 | 99 |
| 18. გადასატანი თანხა | | 61,234 | 87 |
| 19. სხვა-და-სხვა დებიტ. | | | |
| ა) ვექს. დ ალმს. ფურ. | 38,435—90 | | |
| ბ) სხვა პირობებით. | 5,456—50 | 44,092 | 40 |
| **ჯამი.** | | 5.847,089 | 42 |

**პასივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1. 10% თავნი, საზოგად. წევრთაგან შემოტანილი | | 156,785 | — |
| 2. სავარაუდო თანხა | | 57.695 | 56 |
| 3. უძრავი მამულის შესაძენად დანახარჯის ასადგენი თავნი | | 13.599 | 56 |
| 4. თავნი სახელოსნო და სამრეწველო სასწავლებლებისათვის | | 37.546 | 9 |
| 5. შემოტანილი წევრებისაგან: | | | |
| ა) მიმომდინარე ანგარიშზე | 393,159—22 | | |
| ბ) ვადით | 660,972 „ | | |
| გ) უვადოთ | 5,130 „ | 1.059.261 | 22 |
| 6. თამასუქებით ნასესხი: | | | |
| ა) სახელმწ. ბან. განყოფილ. | — „ | | |
| ბ) კერძო საკრედიტ. დაწესებულებაში. | 76,650 „ | 76.650 | — |
| 7. გადაგირავება ქაღალდებისა | | | |
| 8. სპეციალური მიმომდინარე ანგარიში ტფილისის კომერციულ ბანკში ფასიან ქაღალდების გირავნობით | | 295.677 | 33 |
| 9. კორესპონდენტების შემოტ. თანხა: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით Loro | 2,103,348—82 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით Nostro | 1.639,546—77 | 3.742.895 | 59 |
| 10. სხვა ქალაქიდან გამოგზავნილი | | 271.086 | 12 |
| 11. დაურიგებელი დივიდენდი და პრემია | | 10,983 | 91 |
| 12. პროცენტი შემოტანილ თანხებისა, | | 9,028 | 08 |
| 13. მიღებული სარგებელი და კომისია. | | 60.927 | 14 |
| 14. 10% თანხისა გამოსულ წევრთაგან წაუღებელი | | 210 | — |
| 15. სახელმწიფო გადასახადები | | 6 | 38 |
| 16. გადასატანი თანხა | | 54.392 | 59 |
| 17. მოგება საზოგადოებისა | | 781 | 72 |
| 18. მამულის შემოსავალი | | 263 | 13 |
| **ჯამი.** | | 5.847.089 | 42 |
| პასუხის-მგებლობა 1,506 წევრისა 10% ან შესატან გარდა | | 1.411.065 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად ფასიანი ქაღალდები | | 107.600 | — |
| ვექსილები კომისიით | | 301.095 | 29 |

Дозв. цензурою, Тифлисъ, 28 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი